პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 149 (5179)

1974 წ. 30 ივლისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვისთვის

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გაიმართა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საკითხებზე მიღებული დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აქტივს გააცნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

დადგენილების განხილვაში მონაწილეობდნენ ს. რიგვავა (მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), უ. ობოლაძე (საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე), ჯ. გუბაზი (აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. ბაქრაძე (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ვ. ბალავაძე (საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), ა. მელია (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი), ზ. მამუჭაძე (აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), ზ. თავართქილაძე (საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), მ. ცხვედაძე (პენსიონერი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე), ნ. დუმბაძე (საქართველოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის დირექტორი), გ. ხიტურიძე (სპორტკლუბ „ივერიის" გამგეობის თავმჯდომარე), ი. ბაცელაშვილი (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი), ვ. მდივანი (ჟურნალისტი), გ. კარტოზია (თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი), ფ. მახარაძე (საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე).

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ო. ჩერქეზიამ.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა.

## სპარტაკიადა — 74

● მოსკოვი, 28 ივლისი. მიტიშჩის „დინამოს" სასროლეთზე გრძელდება სსრ კავშირის საუწყებო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3×40) სროლაში დოსააფელებმა ა. ბულგაკოვმა და ა. მიტროფანოვმა 1164-1164 ქულა მოაგროვეს. ჩემპიონობა ბულგაკოვს მიეკუთვნა. ა. სიდოროვი (შეიარაღებული ძალები) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — 1161. ქალთა შორის ამავე იარაღით სტანდარტზე (3×20) შეჯიბრება ლენინგრადელმა ვ. მასლოვამ მოიგო — 575 ქულა.

## რეკორდები

**უტრეხტი, 27 ივლისი.** ჰოლანდიის მოცურავეთა ჩემპიონატში ედიტ ბრიგიტამ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 0,11 წამით გააუმჯობესა სამი კვირის წინათ ა. ფრანკეს (გდრ) მიერ დამყარებული ევროპის რეკორდი. ბრიგიტას შედეგია 2.05,14.

**ხარკოვი, 27 ივლისი.** ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მოცურავეთა საკავშირო შეჯიბრებაში ლენინგრადელმა მ. გორელიკმა, რომელიც 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში უკონკურსოდ მონაწილეობდა, სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა — 2.09,0.

**მოსკოვი, 28 ივლისი.** ტყვიის მსროლელთა საკავშირო საუწყებო ჩემპიონატში კიეველმა ქალმა ნ. კალინინამ („დინამო") მცირეკალიბრიანი პნევმატური პისტოლეტით შეჯიბრებაში 389 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი სსრ კავშირის რეკორდია. ძველი მიღწევა, რომელიც ნ. სიმონიანს ეკუთვნოდა, 384 ქულას უდრიდა, სიმონიანის მაჩვენებელი კი ოფიციალური მსოფლიო რეკორდია.



## მოჭადრაკე დების წარმატება

ამ ცოტა ხნის წინათ „დინამოს" მოჭადრაკე ქალიშვილებისა და გოგონების საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ლიეპაიაში (ლატვია) ჩატარდა, თავი ისახელეს დებმა ქეთევან და ნინო მელაშვილებმა.

სტარტზე 7 რესპუბლიკის 12 წარმომადგენელი გამოვიდა. თავიდანვე ლიდერობისთვის შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა ქ. მელაშვილსა და კიეველ პ. კაგანოვსკაიას შორის. ორივე ზედიზედ იგებდა, ერთმანეთთან შეხვედრა კი ყაიმით დაამთავრეს. მერე ნინო წამოეშველა დას, როცა კაგანოვსკაიასთან ყაიმით დაამთავრა პარტია, მაგრამ ქეთინომ ვერ დაძლია ბაქოელი ოსტატობის კანდიდატის ე. ალიევას წინააღმდეგობა და მეორე ყაიმი ჩაიწერა ცხრილში. კაგანოვსკაია და ქეთინო მელაშვილი ფინიშთან ერთად მივიდნენ (9-9 ქულა), მაგრამ I ადგილი კიეველს ხვდა კოეფიციენტთა ცხრილით, ვინაიდან კაგანოვსკაია უფროსებში ირიცხება, ჩემპიონობა ქ. მელაშვილს მიენიჭა და მედალიც მას გადაეცა.

12 წლის ნინომ 6,5 ქულით III ადგილი დაიკავა და შესაბამისი მედალიც მიიღო.

გოგონები თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში სწავლობენ. ქეთინო მერვე კლასში გადავიდა, ნინო — მეშვიდეში.

ქეთინო უკვე ოსტატობის კანდიდატია, ნინო — პირველთანრიგოსანი. თამაში ორივეს მამამ ასწავლა, სერიოზული მეცადინეობა კი დებს ცნობილმა მწვრთნელმა შ. ინწკირველმა დააწყებინა. მერე თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში მათი მასწავლებლები ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი და ოსტატი ი. ჩიქოვანი იყვნენ. ახლა გოგონები ოსტატ თ. ლომაიასთან მეცადინეობენ.

თ. ნინოშვილი.

• • •

სურათზე: დები ქეთევან და ნინო მელაშვილები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ქართველი მძლეოსნის ბრინჯაოს მედალი

მოსკოვში გამართულ მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს კიდევ ერთმა სპორტსმენმა მოიპოვა მედალი. თბილისის დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯუმბერ ფხაკაძემ ჩამოიტოვა ბევრი ცნობილი ათლეტი, მათ შორის ა. ბონდარჩუკიც, და ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა — 71,98 მ (ეს მისი პირველი მედალია საკავშირო ასპარეზზე). ოქროს მედალი წილად ხვდა გ. დმიტრენკოს (შეიარაღებული ძალები) — 75,52.

ჩემპიონატის ბოლო დღეს ქალთა შეჯიბრებაში ყველაზე საინტერესო იყო მსოფლიო რეკორდსმენის, ოლიმპიური ჩემპიონის ლ. ბრაგინას, თ. კაზანკოვას და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ ტ. პანგელოვას ბრძოლა 1500 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის. ბოლო სწორზე პირველი პანგელოვა გავიდა, მაგრამ ბრაგინამ ფინიშთან ყველას მიასწრო — 4.09,8. პანგელოვა მას 0,2 წამით ჩამორჩა.

შუბის მტყორცნელ ვაჟთა შეჯიბრებაში საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენი ი. ლუსისი III ადგილზე აღმოჩნდა — 82,88. ოქროს მედალი პირველად მოიპოვა დინამოელმა ა. მაკაროვმა (მოსკოვის ოლქი) — 83,70. ვიტებსკელმა ნ. გრებნიოვმა (სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) მასთან 10 სმ წააგო. მეორე ოქროს მედალი დაისაკუთრა ლენინგრადელმა მ. სიდოროვამ („ბურევესტნიკი"), რომელმაც ამჯერად 200 მეტრზე რბენა მოიგო — 23,3. მაგრამ ყველაზე უხვი „ოქროს მოსავალი" მაინც ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ბორზოვს ხვდა. წინა დღეებში მან 100 მეტრზე რბენა მოიგო, მერე 4×100 მეტრზე ესტაფეტაში იმარჯვა, ამჯერად კი 200 მეტრზეც ყველას აჯობა — 21,0. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა მოიგო მოსკოველმა ს. სკრიპკამ — 8.26,6. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა სსრ კავშირში. 110 მ თარჯრბენი მოიგო ვ. მიასნიკოვმა — 13,8, ა. მოშიაშვილი (ორივე — „დინამო") ბრინჯაოს დასჯერდა — 14,0.

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელები, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდის მომზადება დაევალათ, ქვეყნის პირველობის შედეგებით ძირითადად კმაყოფილნი არიან, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში, როგორიცაა, მაგალითად, 1500, 5000 და 10000 მეტრზე რბენა (ვაჟები) და სიმაღლეზე ხტომა (ქალები) საიმედოს ვერაფერს ხედავენ. მაგალითად, 1500 მეტრის გარბენას ჩემპიონმა პ. ანისიმმა 3.42,5 მოანდომა.



სურათზე: ჯ. ფხაკაძე სავარჯიშოდ მიემართება.

## ჭადრაკის მერიდიანებზე

### გამარჯვება გაიყვეს

**ზოლინგენში** (გფრ) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ფინიშთან ერთად მივიდნენ დიდოსტატები ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) და აშშ-ს ჩემპიონი ლ. კავალეკი — 10-10 ქულა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბ. სპასკიმ 8,5 ქულით III-IV ადგილები გაიყო.

### ტალი მაინც ტალია

**ლიუბლინში** (პოლონეთი) გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეებიც — დიდოსტატი მ. ტალი და ოსტატი თ. გიორგაძე.

8 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ტალი — 6,5 ქულა.

## ჯიბილო ნიჟარაძე — აბსოლუტური ჩემპიონი

რიგა, 28 ივლისი. დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში. გუშინ ასპარეზობდნენ საშუალო და ქვესაშუალო წონების ათლეტები.

საშუალო წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა მოსკოველმა ა. ციუპაჩენკომ, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში თბილისელი გ. გოგოლაური დაამარცხა. ბრინჯაოს ჯილდო ამ წონაში გადაეცათ თბილისელ ა. ბარკალაევსა და მოსკოველ ა. ვოლოსოვს.

ქვესაშუალო წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიეველი ვ. დვოინიკოვი და მაიკოპელი ა. სპიროვი. გაიმარჯვა კიეველმა ათლეტმა. ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს თბილისელმა ა. წიკლაურმა და მაიკოპელმა ვ. ნევზოროვმა.

დღეს გათამაშდა მედლების ბოლო ორი კომპლექტი: აბსოლუტურ და მსუბუქ წონით კატეგორიებში.

აბსოლუტური პირველობა მოიგო თბილისელმა ჯ. ნიჟარაძემ, რომელმაც ფინალში დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოველი ა. კაზაჩენკოვი. III ადგილი გაიყვეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა შ. ჩოჩიშვილმა (გორი) და ი. კოჟარსკიმ (მინსკი).

მსუბუქ წონაში ოქროს მედალი გადაეცა ჩელიაბინსკელ მ. ივშინს. II ადგილზე გავიდა შარშანდელი ჩემპიონი შ. ფიცხელაური (თბილისი). ბრინჯაოს ჯილდო მიიღეს ა. ობგაიძემ (თბილისი) და ი. ტემირბულატოვმა (გროზნო).

## იოსებ მაღალაშვილი მსოფლიოში უძლიერესია

ულან-ბატორი, 28 ივლისი. დამთავრდა სამბისტთა II მსოფლიო ჩემპიონატი. ოქროს თასი მეორედ მოიპოვეს საბჭოთა ათლეტებმა. მათ აქტივშია 8 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი.

წარმატებით იასპარეზეს მონღოლეთის სამბისტებმა, რომლებსაც გადაეცათ 2 ოქროს, 6 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. III ადგილი ბულგარელმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს (2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი).

საბჭოთა სამბისტებიდან მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ჩვენმა თანამემამულემ იოსებ მაღალაშვილმა. ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ს. ხოდიევი (ტაშკენტი), ნ. კურბაევი (ელცი), ზ. უმიაროვი (ძერჟინსკი), ზ. ხაპაი (მაიკოპი), ნ. ეზერსკასი (კაუნასი), ა. პუშნიცა (ომსკი), ვ. საუნინი (კიევი).

## ყველანი — საპრიზო ადგილებზე

ხაპარანდა, 28 ივლისი. შვეციის ამ ქალაქში დღეს დამთავრდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ათლეტებმა, რომლებმაც 52 ქულა დააგროვეს. II ადგილზე გასული ბულგარელი მოჭიდავეები გამარჯვებულს 10 ქულით ჩამორჩნენ. III ადგილი წილად ხვდა პოლონეთის ნაკრებს — 27,5 ქულა.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ოქროს მედლები დაიმსახურეს: ი. კორჩაგინმა (ქვემსუბუქი წონა), მ. სალაძემ (ქვემძიმე) და ა. კოლჩინსკიმ (მძიმე). ვერცხლის ჯილდოები მიიღეს: ვ. კარაჩაევმა (მჩატე), ს. ნალბანდიანმა (მსუბუქი), ე. მაჩაიძემ (I ქვესაშუალო), თ. აფხაზავამ (II ქვესაშუალო), ა. დუბროვსკიმ (I საშუალო), ა. მინასიანმა (II საშუალო). ა. ასლანიანს (უმჩატესი) წილად ხვდა ბრინჯაოს მედალი.

როგორც ხედავთ, ყველა საბჭოთა ათლეტი პრიზიორი გახდა. მათ შორის არიან საქართველოს წარმომადგენლები: მ. სალაძე, ე. მაჩაიძე, თ. აფხაზავა და ა. მინასიანი.

# ნგრევა ადვილია... | ვისია, ვისი?..

## ხუთი თვე უმეთოდისტოდ

### ფიზკულტურის კოლექტივებში

„სტუდენტობაში ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაზე სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა. ზოგჯერ კიდეც ვნანობ, რომ სამუშაოდ ისეთ კოლექტივში მოვხვდი, სადაც ფიზკულტურასა და სპორტს ჯეროვნად ვერ აფასებენ".

რაში დაგვჭირდა წერილის დასაწყისშივე ახალგაზრდა ინჟინრის ნ. გოგოლაშვილის ამ სიტყვების მოტანა? ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. თუ რამდენად სამართლიანია ახალგაზრდა ინჟინრის გულისწყრომა, მკითხველი თავად განსჯის. აქ კი ერთს დავსძენთ: ნოდარი კოლექტივში ერთ-ერთ საუკეთესო და მრავალმხრივ სპორტსმენად გაგვაცნეს. ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობაზე კი მისი აზრი მას შემდეგ მოვისმინეთ, როცა დასკვნები უკვე გაკეთებული გვქონდა.

საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტი („საქსახწყალპროექტი"), რომლის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის შესახებაც დღეს გიამბობთ, ისეთ გადაკარგულ ადგილზე არ გეგონოთ, სადაც ადამიანების ჯანმრთელობაზე ფიზკულტურისა და სპორტის კეთილისმყოფელი გავლენის შესახებ მხოლოდ პრესაში კითხულობდნენ ცნობებს. პირიქით, ეს სოლიდური ორგანიზაცია თბილისის ერთ-ერთი ხალხმრავალი უბნის — ვაკის სწორედ იმ მიკრორაიონში მდებარეობს, სადაც რესპუბლიკაში ყველაზე მეტი სპორტული ბაზაა თავმოყრილი. მაშასადამე, ინსტიტუტის თანამშრომლები თვალნათლივ ხედავენ, რომ სპორტი ადამიანებისთვის სულაც არ არის უცხო და უსარგებლო რამ. შესაძლოა ეს დიდაქტიკა ინსტიტუტის თავკაცებს ზედმეტად მოეჩვენოთ. ინსტიტუტის დერეფნებში ხომ თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული მშდ კომპლექსისადმი მიძღვნილი ლოზუნგები, სპორტული პლაკატები. იქვე ფოტოსტენდიც მოუწყვიათ. მოდი და თქვი, ფიზკულტურასა და სპორტს ყურადღება არ ექცევაო! ადგილკომის თავმჯდომარის კაბინეტში რომ შეიხედოთ, ხომ სულ გულს ვარდი გადაგეფინებათ: ოთახის ერთი კედელი სპორტული დიპლომებით, სიგელებითა და ვიმპელებითაა დაფარული. აქვე ყელი მოუღერებიათ სხვადასხვა შეჯიბრებაში მოპოვებულ პრიზებს. ისლა დაგრჩენიათ გაიბადროთ და რაც შეიძლება შთამბეჭდავად წარმოთქვათ — ყოჩაღ! მაგრამ ნუ აჩქარდებით. გამოიჩინეთ მეტი ცნობისმოყვარეობა და თვალი გადაავლეთ ამ სპორტული ნადავლის თარიღებს. გაიგებთ, რომ პირველი წარმატება კოლექტივს 1956 წელს მოუპოვებია, ზენიტისთვის კი 1972 წელს მიუღწევია. სამაგიეროდ, წლეულს კოლექტივის სპორტული ავტორიტეტი ერთადერთი ვიმპელის ამარაა დარჩენილი.

ერთი სიტყვით, გარეგნულად მართლაც ჩინებულადაა საქმე. პირველ შთაბეჭდილებას რომ ენდო, მასპინძლებიც მყისვე კვერს დაგიკრავენ. ერთს არ წამოსცდება, არც მთლად ასეა საქმე, ნაკლი ჩვენც გვაქვსო. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის აზრით, მათს კოლექტივში ფიზკულტურული მუშაობა დუღს და გადმოდუღს.

როცა შევეცადეთ და კოლექტივის ნამდვილი სახე ფაქტებით წარმოვადგინეთ, მასპინძლებმა იერიში ყოფილ მეთოდისტ ა. გურაშვილზე მიიტანეს: აქამდა, რაკი დაგაწინაურეთ, საქმეს უკეთ უნდა გაძღოლოდიო. დირექტორს ზ. ლამბაშიძეს დღემდე ჰგონია, რომ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ინსტიტუტში ისევ გურაშვილი თავკაცობს, მაგრამ ეს უკანასკნელი წლეულს ადგილკომის თავმჯდომარის განთავისუფლებულ მოადგილედ აურჩევიათ და ფიზკულტურული მუშაობა აგერ ხუთ თვეზე მეტია უყურადღებოდაა მიტოვებული. თუმცა ესეც უნდა ვთქვათ: ადგილკომის თავმჯდომარეცა და მისი მოადგილეც ვალდებული არიან ფიზკულტურელთა ცხოვრებასაც მიაქციონ ყურადღება. ბიჟებს თავად ჩაუტარებიათ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. შემდეგ ძალა რაიონული თასის გათამაშებაშიც უცდიათ, მაგრამ ასპარეზობას პირველი შეხვედრიდანვე გამოსთიშვიან.

რამდენიმე ახალგაზრდას კომკავშირის კომიტეტის თაოსნობით მოუმზადებლად მიუღია მონაწილეობა მშდ მრავალჭიდის პროგრამით გამართულ რაიონულ პირველობაში. კოლექტივში დღემდე არ შექმნილა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელი ჯგუფები, წლეულს არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ, არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, მივიწყებულია ტურისტული ლაშქრობები, თევზაობა, არ ეწყობა ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს სხდომები. საბჭოს თავმჯდომარეს ქ. ბოლქვაძეს თვითნებურად მიუტოვებია პოსტი.

არც მშდ კომპლექსის კომისია გრძნობს პასუხისმგებლობას. კომისიის თავმჯდომარეს ქ. ჟვანიას თითი თითზე არ დაუკარებია. მაგრამ თავის მართლებაზე და მიზეზებზე თუ მიდგა საქმე, სათქმელი სწორედ ამ კაცს აქვს — ადგილკომის თავმჯდომარეა და კონტროლს აბა თავის თავს ხომ არ გაუწევდა!

კოლექტივზე ძვირი არც პარტიული ორგანიზაციის მდივანს დ. ნადირაძეს დასცდენია. პირიქით, სინანული გამოთქვა, წინათ დირექტორის ფონდიდან შეცდომით ვაძლევდით მეთოდისტის ხელფასს, ამიტომაც კანონზომიერი იყო ამ შტატის გაუქმებაო. როგორ თუ გაუქმება? ჩვენთან ერთად თვით ყოფილმა მეთოდისტმა გურაშვილმაც შეიცხადა ეს ამბავი. იძულებული გავხდით საგეგმო განყოფილებისთვის მიგვემართა და დავრწმუნდით, რომ მეთოდისტის შტატი სრულიად კანონიერადაა დაშვებული და იგი არც გაუუქმებია ვინმეს. ოღონდ ეგაა: ხუთ თვეზე მეტია ეს თანამდებობა ვაკანტურია და დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ, ვინ დანიშნონ. დრო კი გადის.

რამდენიმე თვეში თვალსა და ხელს შუა დაინგრა წლობით ნაშენი. პროფკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებს დღემდე არ გაუმახვილებიათ ყურადღება კოლექტივში შექმნილ ვითარებაზე. ნაკლოვანებებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მდგომარეობის გამოსწორებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილების შემდეგაც არ უზრუნიათ მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

გულგრილობის ერთი მაგალითია ისიც, რომ ინსტიტუტში თითქმის წელიწად-ნახევრის დაგვიანებით — 1973 წლის 24 აგვისტოს დაიწერა ბრძანება (№ 1288), მშდ კომპლექსის კომისიის შექმნის შესახებ. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ერთი წლის წინათ ხელმოწერილი ეს დოკუმენტი დღეს ბევრს აღარ ახსოვს ინსტიტუტში.

ნურც სპორტულ ბაზებსა და ინვენტარს დავივიწყებთ. კოლექტივს არავითარი ბაზა არ გააჩნია. ინსტიტუტის ორად ორი ჩოგბურთის მაგიდა კი ახლახან სასტიკად დაუსჯიათ... ადმინისტრაციული წესით. გადაჭარბებული არ გეგონოთ — დაუსჯიათ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ერთი მაგიდა ბნელ საკანში დაუმწყვდევიათ, მეორე დერეფნის კუთხეშია მიკუნჭული. ძალაუნებურად გვაგონდება, ერთმა პირველმა მბრძანებელმა მყუდროების დამრღვევ ზარს ენა რომ ამოჰგლიჯა და „გადაასახლა"... სხვა უცნაურობასაც წავაწყდით: ეს ორგანიზაცია დღემდე ორი ძიძის ხელშია. ინსტიტუტის ფიზკულტურელები სპორტსაზოგადოების წევრობისთვის გადასახადს „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს უხდიან, შეჯიბრებებში კი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ხაზით მონაწილეობენ და ანგარიშსაც ამ საზოგადოებას აბარებენ. ბოლოს და ბოლოს ვისია ეს კოლექტივი?

ახლა ისევ ახალგაზრდა ინჟინერს ნ. გოგოლაშვილს დავუბრუნდეთ. ნოდარი ბავშვობიდანვე ეზიარა სპორტის რამდენიმე სახეობას, სტუდენტობის წლებშიც ბევრს ვარჯიშობდა. შემდეგ, შემდეგ თავად ნახეთ... ნოდარის სატკივარი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საზოგადოა. ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი მიდის ყოველწლიურად სამუშაოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტზე. ფიზკულტურა და სპორტი მათი ერთგული მოკავშირე უნდა იყოს შემოქმედებითს შრომაში. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა და მისი უგულებელყოფა დღეს აღარავის ეპატიება.

ც. ქიმისტარიშვილი,
თ. გაჩეჩილაძე.

# არა გვყავს ღირსეული ცვლა-რეზერვი



ლ. თედიაშვილი.

### ლელო ინტერვიუ

ამას წინათ უფაში ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის მონაწილე სპორტსმენთაგან საპრიზო ადგილები დაიკავეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც: ლ. თედიაშვილმა (I ადგილი), ა. ხოხაშვილმა (II ადგილი) და მ. ცნობილაძემ (III ადგილი). „ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ნ. ხოხაშვილს და რამდენიმე შეკითხვა მისცა მას. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

● ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი საწვრთნელი მეცადინეობების ჩასატარებლად პოლონეთს გაემგზავრა. ბევრს ეს წამოწყება საეჭვოდ ეჩვენა. საინტერესოა, რამდენად მართებული იყო ეს ნაბიჯი და გაამართლა თუ არა თავისი დანიშნულება პოლონელ მოჭიდავეებთან ერთობლივმა წვრთნამ?

— ზაკოპანეში ჩვენი გუნდის გამგზავრებას ბევრი სპეციალისტი მართლაც მტრულად შეხვდა. მე კარგად ვიცოდი, რომ სარისკო საქმე წამოვიწყე. მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ნაბიჯი უსათუოდ სწორი იყო. ახლა უფრო დაწვრილებით შემიძლია გესაუბროთ იმ მოტივებზე, რამაც პოლონეთში გამგზავრება გადამაწყვეტინა. საერთოდ, საზღვარგარეთ მგზავრობა ერთ არსებით უხერხულობასთანაა დაკავშირებული. ამ უხერხულობას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ინტერესი უცხო ქვეყნისადმი, რომელიც ჩვეული სპორტული რეჟიმის შეცვლას იწვევს. ეს ჩვენი თაოსნობის მოწინააღმდეგეთა მთავარი კოზირი იყო. მე ეს მომენტიც გავითვალისწინე, მაგრამ მხედველობაში მივიღე ისიც, რომ წლევანდელი ჩემპიონატი საუწყებო იყო და სპორტსმენებს მხოლოდ თავიანთს საზოგადოებებში უნდა ევარჯიშათ. პოლონეთში გამგზავრების უპირატესობა კი ის იყო, რომ მოჭიდავეთა ძირითადი ბირთვი უშუალოდ ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ მოემზადებოდა. ჩვენ კი საკმაოდ ბევრნი ვიყავით — გურამ სალარაძე, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი, მიხეილ თიკანაძე, მარლენ ოხიყმაშვილი და მე. აი სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ ჩემპიონატამდე დარჩენილი დრო ერთად გამოგვეყენებინა და პოლონელთა მიწვევა მივიღეთ.

● რა გეგმები გქონდათ უფაში გამგზავრებისას?

— მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, რომ ლევან თედიაშვილს ოქროს მედალი უნდა მიეღო. რამდენიმე წონაში სამეულში მოხვედრას ვფიქრობდით. ახლა თქვენთვის ცნობილია პრიზიორთა ვინაობა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ სამეულში მოხვედრას ველოდით მარსაგიშვილისგან, ილურიძისა და დათო ყვარელაშვილისგანაც.

● რამ შეუშალათ ხელი ზემოთ ჩამოთვლილ სპორტსმენებს?

— მარსაგიშვილს კენჭისყრისას უმტყუნა ბედმა. ამ წონის მთავარ ფავორიტთან, ევროპის ჩემპიონ ნოვოჟილოვთან მას პირველსავე წრეში მოუხდა ბრძოლა. როგორც იცით, ჩვენი თანამემამულე დამარცხდა. მერე მან შესამჩნევად გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ სტარტზე დაკარგულის ანაზღაურება ძნელი იყო. ყვარელაშვილმა ერთადერთი ბრძოლა წააგო ჩემპიონთან, ილურიძე კი ტრავმირებული იყო და მთელი ძალით ვერ ჭიდაობდა. ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ცნობილაძის შესახებ, რომელიც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი სენსაციის მთავარი მიზეზი გახდა. ცნობილაძემ ოქროს მედლისკენ გზა გადაუღობა მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს იარიგინს. ეს დიდი გამარჯვება იყო. მერე მან სხვა ფავორიტებიც ჩამოიტოვა. ფინალში ორჯონიკიძელ იკაევთან შეხვედრაში მას მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, მეტოქეს კი ფრეც ხელს აძლევდა. ორმა პერიოდმა მართლაც ვერ გამოავლინა უძლიერესი. ბოლო სამ წუთში კი ცნობილაძემ რისკი გასწია, ვინაიდან მეტოქე ყრუ თავდაცვაზე იყო გადასული. რისკი ასეთ შემთხვევაში სახიფათოა. იკაევმა გამოიყენა მეტოქის შეცდომა და გაიმარჯვა.

● რას იტყვით ლევან თედიაშვილზე? პრესაში თითქმის არაფერი დაწერილა მის შესახებ.

— ლევანმა მეორე წრეში წარბი დაიზიანა. სხვა ასეთ შემთხვევაში შედრკებოდა, მაგრამ თედიაშვილი, მოგეხსენებათ, ჯიუტი და უშიშარია. ნატკენი წარბის მიუხედავად, მან ყველა მეტოქე დაჯაბნა, მათ შორის წმინდად დაამარცხა სტრახოვი და დიდი უპირატესობით — ტუნგაევი. ლევანმა უფაში სამი პრიზი მიიღო: ერთი, როგორც ტურნირის საუკეთესო მოჭიდავემ, ერთი ყველაზე მეტი წმინდა მოგებისთვის, და ერთიც, როგორც ყველაზე გაბედულმა ათლეტმა. სამივე პრიზი დამსახურებულია და კარგად გამოხატავს ჩვენი ფალავნის ხასიათს.

● თქვენ, როგორც უფროს მწვრთნელს, უველაზე უკეთ შეგიძლიათ შეაფასოთ საქართველოს ნაკრების რეალური ძალა. როგორია იგი წინა წლებთან შედარებით?

— გუნდში, სამწუხაროდ, არ არიან ისეთი გამოცდილი ლიდერები, მხედველობაში თუ არ მივიღებთ თედიაშვილს, როგორიც ახლო წარსულში იყვნენ ლომიძე, ბერიაშვილი, სალარაძე და სხვები. ერთი კაცით კი ფონს გასვლა, მოგეხსენებათ, ძნელია.

● როგორ აფასებთ ახლახან დამთავრებული ჩემპიონატის შედეგებს?

— იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ჩვენ გაგვაჩნდა, მაქსიმუმი გავაკეთეთ, მაგრამ საქართველოს მოჭიდავეთა მდიდარი ტრადიციების ფონზე შედეგი ერთობ უფერულია.

● რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა?

— სპორტის ნებისმიერ სახეობაში ჩამორჩენას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მათგანია თაობათა ცვლა, მით უმეტეს, როცა იგი მტკივნეულად მიმდინარეობს. ჩვენ რამდენიმე ასეთი ცვლის მოწმენი ვართ, მაგრამ მას არასოდეს მოუხდენია დიდი გავლენა ჭიდაობის საერთო მდგომარეობაზე. გაიხსენეთ თუნდაც 1962 წელი, როდესაც დიდ სპორტს თავი დაანებეს ბალავაძემ, სხირტლაძემ, ცალქალამანიძემ, კანდელაკმა, არსენიანმა, მჭედლიშვილმა და სხვებმა. ძველები წავიდნენ, მაგრამ მათი ადგილი მაშინვე ღირსეულმა ცვლამ დაიკავა. მე მხედველობაში მყავს შეყრილაძე, ალიბეგაშვილი, ქარსაულიძე, ბერიაშვილი, სალარაძე, ცხოვრებოვი, ლომიძე. ამ და სხვა შემთხვევებში თაობათა ცვლა მხოლოდ ფორმალური იყო. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა ახლა, როცა სარბიელი დატოვეს სალარაძეებმა, ბერიაშვილებმა და ლომიძეებმა. წავიდნენ საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავენი, უმაღლესი, საერთაშორისო კლასის ოსტატები და ვაკუუმი აღარ შეივსო. როგორც ზემოთ ვთქვით, მარტო ლევან თედიაშვილი ჩვენი რესპუბლიკის საჭიდაო ცხოვრებაში ამინდს ვერ შექმნის, არადა სხვა რეალური ძალა ჯერჯერობით არ არსებობს. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? იმას, რომ არასაკმარის დონეზე დგას ახალგაზრდა თაობასთან მუშაობა. აღარ გვყავს ღირსეული ცვლა-რეზერვი.

● რა გეგმებს ისახავს ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის?

— გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ახალ გვარებს არ ველით. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება უკეთ მოვამზადოთ ისინი, ვინც დღეს მთავარ როლს თამაშობს ნაკრებ გუნდში.

# ექვს სახეობაში

სამ დღეს გაგრძელდა სამხრეთ ოსეთის მოსწავლეთა XXV საოლქო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორის, ჯავისა და ცხინვალის რაიონების ნაკრები კოლექტივები. პროგრამაში იყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფეხბურთში. სამწუხაროდ, სპორტის ამ ორ უკანასკნელ სახეობაში შეჯიბრებები არ ჩატარდა. ფრენბურთში გოგონებსა და ჭაბუკებს შორის, აგრეთვე, მძლეოსნობაში უძლიერესნი ცხინვალელი სპორტსმენები იყვნენ. ქართულ ჭიდაობაში ცხინვალის რაიონის ათლეტებმა გაიმარჯვეს. ჩემპიონები გახდნენ: მ. ჯოჩიშვილი (ლენინგორი), გ. კახნიაშვილი (ცხინვალის რაიონი), ნ. მიდოდაშვილი (ცხინვალი), გ. ძერანოვი, ა. გობოზოვი (ორივე — ზნაური), ბ. მალმიგოვი, დ. მიდოდაშვილი, თ. თუაევი (სამივე — ცხინვალის რაიონი). ცხინვალის რაიონის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს თავისუფალი სტილით ჭიდაობაშიც. ჩემპიონები გახდნენ: ა. ბუკულოვი, ა. ჯიოევი, შ. მაისურაძე, ო. ბოლოთაევი, ჰ. თიბილოვი, რ. ოთინაშვილი, მ. თედეევი, ა. ბეკოევი, ვ. ხმიადაშვილი (ყველა — ცხინვალი), ვ. ჯიოევი (ჯავა), ა. ჯაბიევი (ცხინვალის რაიონი).

ვ. ძელქოევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი საფეხბურთო ელიტა




ბ. ქორქია,
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი მსოფლიოს X ჩემპიონატზე

სანამ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან მატჩებზე ვილაპარაკებდე, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო II ტურის თამაშს ბრაზილიისა და არგენტინის გუნდებს შორის. იგი ძალზე ლამაზი და საინტერესო გამოდგა, ორივე მხარე თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისთვის, კრიტიკული მომენტები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა ორივე კართან. ასეთი მატჩები სანახავად მართლაც საინტერესოა, აღსავსეა ცალკეული მწვავე ეპიზოდებით, წყვილთა ორთაბრძოლებით, მოკლედ — რომანტიკული ფეხბურთით.

მაგრამ ასეთი ფეხბურთი შეიძლება ეფექტური გამოდგეს მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილია და არგენტინა. ჯერ ერთი, ამ ორ გუნდს უძველესი პირადი ანგარიშები აქვს ერთმანეთთან, ტრადიციას არ ღალატობს არც ერთი მხარე და თავს წირავს იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დააჭიროს ფეხი მოწინააღმდეგეს მტკივნეულ ადგილზე, მეორეც — ორივე ერთი ტიპის ფეხბურთს თამაშობს, სწორედ იმას, რომელიც ხელს უწყობს თითოეულ მათგანსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ... მეტოქესაც. ბურთის გათამაშება იწყება შუა მინდორში, დრიბლინგი, პერსონალური დაცვა, ინდივიდუალური გასვლები კარისკენ, მცველების ფეხებში ჩახტომა ყველაზე უფრო დრამატულ სიტუაციებში, თეატრალური ჟესტები და სხვა მისთანანი მომგებიან მელოდრამას ქმნიან მინდორზე. ეს თამაში საცქერად, ვიმეორებ, სასიამოვნოა, მაგრამ საკმარისი იყო ბრაზილიელებიც და არგენტინელებიც შეხვედროდნენ არა ერთმანეთს, არამედ ევროპელებს, ე. წ. ახალი სკოლის ძლიერ წარმომადგენლებს — დასავლეთგერმანელებს, ჰოლანდიელებს, პოლონელებს და მათი ეფექტური ტრიუკები, ბურთის ტარების დახვეწილი ტექნიკა ჩიხში ემწყვდეოდა განუზომლად უფრო ქკვიანურად, რაციონალურად ორგანიზებული ასეთივე მაღალი ტექნიკის წინაშე. ჟაირზინიომ, რომელიც შიშის ზარს სცემდა არგენტინელთა დაცვას, მთელი მატჩის მსვლელობაში ხეირიანად ვერც კი გაისწორა ბურთი ჰოლანდიელებთან შეხვედრაში, არგენტინელი აიალა კი, მოზარე ქალივით თმაგაწეწილი კაცი, უთავბოლოდ დარბოდა მინდორზე და ვერც საკუთარ თავს პოულობდა, ვერც პარტნიორს.

დიახ, დღევანდელი ფეხბურთი დეტალურად დამუშავებული და დაგეგმილი კოლექტიური თამაშია და არა ძველი მძიმე აბჯრით აღჭურვილი გულადი რაინდების თეატრალიზებული ტურნირი. ფეხის განძრევას შენ გემოზე ვინ გაცლის, როცა მეტოქე ავტომატითაა შეიარაღებული და საიმედო ჯებირს უკანაა ჩასაფრებული. ერთ შეცდომას მთელი მატჩის ფასად დაგისვამენ.

მაშ ასე, 3 ივლისს წყდებოდა ფინალისტთა საკითხი: ჰოლანდია — ბრაზილია, გფრ — პოლონეთი.

შეუდარებელ სანახაობას წარმოადგენდა პირველი წყვილის შეხვედრა. მე ზემოთ, მგონი, ცოტა გადავაჭარბე, როცა სამხრეთამერიკელებზე ვლაპარაკობდი და წერით გართულმა ვეღარც შევატყვე, ისე მივაღწიე შუა საუკუნეების რაინდებამდე. მახვილიანი რაინდი, მართალია, წააგებს შეტაკებას მეავტომატესთან, მაგრამ რაინდი მაინც რაინდია, ის კეთილშობილია სულით-ხორცამდე და პირად ღირსებებს ყველაფერზე მაღლა აყენებს. ასე რაინდულად გამოიყურებოდნენ ბრაზილიელები დასაწყისში, მხოლოდ დასაწყისში, კრუიფისა და მისი მეგობრების გრიგალისებური იერიშების წინაშე, როცა ვერ ასწრებდნენ რთულ კომბინაციებში გარკვევას, პერსონალური დაცვისას ძლივს ახერხებდნენ ბურთის წართმევას, უგნებელყოფდნენ ხიფათს და წუთის მერე ისევ იმ ხიფათის წინაშე იმყოფებოდნენ.

ჰოლანდია თამაშობდა, ბრაზილია — იბრძოდა, ჰოლანდია უტევდა, ბრაზილია — იგერიებდა, პირველს ფრთები ესხა, მეორე კი ამაოდ ცდილობდა დაემსხვრია მეტოქის ეს მძლავრი ფრთები. მაგრამ თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ ბრაზილიელები ვერ გაუძლებდნენ ამ მძიმე გასაჭირს, მათი რიგები აირია, რაინდობა კვამლივით გაიფანტა და მსოფლიო ჩემპიონები შეუდგნენ აშკარა, დაუფარავ, შეუნიღბავ უხეშობას. არა, ბუნებით ისინი არ არიან უხეში, ტლანქი, მე ვიტყოდი, თავხედი ფეხბურთელები. უბრალოდ, ისინი იძულებული იყვნენ აკრძალული, სამარცხვინო ილეთებისთვის მიემართათ, რომელთა მსხვერპლნი უწინ თვითონ არაერთხელ გამხდარან ხოლმე, როცა განუკითხავად ბატონობდნენ მინდორზე და მათი მოწინააღმდეგე იყო იძულებული მიემართა უკანასკნელი საშუალების — უხეშობისთვის. დაიწყო ეს მორიდებული სარმებით, მაისურებში ხელის ჩავლებით, წარამარა ბოდიშის მოხდით, მერე მდგომარეობა უფრო გართულდა, მსაჯს ხელი დაეღალა ყვითელი ბარათის ფრიალით და ბოლოს გამოჩნდა საბედისწერო წითელი ნიშანიც: მან ზემოქმედების ყველა საშუალება ამოწურა და იძულებული შეიქმნა მინდვრიდან გაეძევებინა პერეირა.

ამ მატჩში გაირკვა საბოლოოდ, რომ მსოფლიო ფეხბურთს ახალი ჩემპიონი ეყოლებოდა — ბრაზილიელები დამარცხდნენ ანგარიშით 0:2. პირველი გოლი ნეესკენსმა გაიტანა. კრუიფის გადაცემით, მეორედ კი კრუიფმა თვითონ მიუსწრო კროლის პასს.

იმავე დღეს ფრანკფურტში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდები. მივცემ ჩემს თავს უფლებას, როგორც დამსწრეს, რამდენიმე სიტყვით გავიხსენო ეს მატჩი.

რომ ვთქვა წვიმდაო, ეს ნიშნავს არაფერი ვთქვა საერთოდ. კი არ წვიმდა, წყლის გაუთავებელი ნაკადი, ღვართქაფი, ნამდვილი წარღვნა ერთბაშად მოასკდა სტადიონს და საშველი არ ჩანდა არსაიდან. მომსახურე პერსონალი რეზერვუარიან სპეციალურ ურიკებს დააგორებდა სათამაშო მინდორზე, მერე სარბენ ბილიკებზე შემოვიდა 3 ვეება სახანძრო მანქანა და მექანიზებული წესით შეუდგა წყლის ამოქაჩვას მიწიდან. დიდხანს გაგრძელდა ეს „ნახევარფინალური" ბრძოლა სტიქიასთან, მატჩის დაწყების ვადა კარგახნის გასული იყო, ბოლოს, როგორც იქნა, შესაძლებელი გახდა თამაშის დაწყება, თუკი ამას თამაში ჰქვია. რაც გინდა დაარქვით — წყალბურთი, ცურვა, ყვინთვა — ყველაფერი შეგიძლიათ უწოდოთ იმ საცოდაობას, რაც მინდორზე ხდებოდა. ბურთი ცურავდა წყალზე, ტექნიკა, კომბინაციები, გადაცემები, ყველაფერი შეეწირა იმ ტბებსა და გუბეებს, რომლებსაც დაფარული ჰქონდა მინდორი. უაღრესად საინტერესო, ნანატრი ლოდინით აღსავსე მატჩი შიშველი ფიზიკური ბრძოლით აღსავსე სანახაობად იქცა, სადაც აქა-იქ თუ გაიელვებდა ნამდვილი ფეხბურთის ელემენტები. გერმანელებმა უფრო ადრე აუღეს ალღო შექმნილ მეტეოროლოგიურ პირობებს, მიმართეს მაღალ გადაცემებს, მაგრამ პოლონელები ფხიზლად იყვნენ. გორგონმა მჭიდროდ ჩაკეტა გფრ-ის ნაკრების მრისხანე ცენტრფორვარდი მიულერი, ბურთი არ მიაღებინა მას, ხოლო საპასუხო იერიშებისას ლატოს ორჯერ მიეცა ანგარიშის გახსნის ნაღდზე ნაღდი შესაძლებლობა: იგი პირისპირ დარჩა მეკარე მაიერთან და ორივეჯერ არაზუსტად დაარტყა, მანამდე კი მაიერს არაერთხელ მოუხდა თავისი გუნდის ხსნა უკიდურესად რთულ პირობებში.

შესვენების შემდეგ დადგა პოლონელთა მეკარე ტომაშევსკის „არიის" შესრულების რიგი. 52-ე წუთზე ერთ-ერთმა მცველმა უხეშად ითამაშა ჰოლცენბაინის წინააღმდეგ საჯარიმო მოედანზე და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. გერმანელთა „შტატიანმა" პენალტისტმა ჰიონესმა „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით" შეასრულა დარტყმა, ცრუ მოძრაობაც გააკეთა, ძლიერადაც გაგზავნა ბურთი მარჯვენა კუთხეში, ტომაშევსკი კი მაინც ვერ მოატყუა. მეკარემ თავგანწირულ ნახტომში აიღო ბურთი.

ამ პენალტზე შემდეგ ბევრს წერდნენ გერმანელი მიმომხილველები. კერძოდ: „ჰიონესი მუდამ მარცხენა კუთხეში ურტყამს პენალტს და მუდამ გააქვს გოლი. რაში დასჭირდა ახლა მისამართის შეცვლა? ხომ ხედავთ, რა გამოვიდა, როცა უღალატებ ბედს, რომელსაც წარმატება მოაქვს შენთვის". აი, ასეთია ფეხბურთელის ხვედრი. საკმარისია სხვა კუთხეში ერთხელ დაარტყა ბურთი და უკვე ბედის ღალატს დაგწამებენ.

25 წუთის შემდეგ კი ჰიონესს ხელიდან ვერ გამოგლიჯეს მიულერი, რომელმაც მრავალი ცდის, ძიებისა და მინდორზე გაუთავებელი თარეშის შემდეგ მაინც იხელთა მომენტი და გაიტანა ბურთი, თავისი ტრადიციული, „მუდმივი" გოლი და ეს მან გააკეთა მისთვის ჩვეული დიდოსტატური ხელოვნებით. მიულერი წაქცეული იყო, როცა მარცხენა ფლანგიდან მოაწოდეს მისკენ ბურთი კარის წინ. მცველები, როგორც ამას შექმნილი მდგომარეობა და ელემენტარული ლოგიკა მოითხოვდა, გაჰყვნენ ბურთის მიმართულებას, ტომაშევსკიც ლოგიკურად მოიქცა და იმავე მხარეს შეასრულა მოძრაობა, „უკუღმართმა" მიულერმა კი, ერთადერთმა ამ სიტუაციაში, „ალოგიკური" გადაწყვეტილება მიიღო და მიწაზე მწოლიარემ გზაშივე მოასწრო დარტყმა. ტომაშევსკის აღარაფერი შეეძლო: მთელი მისი სხეული მარცხნივ იყო გადახრილი, ბურთი კი საწინააღმდეგო მხარეს გავიდა კარში — 1:0.

ამ გოლმა გერმანელებს გამარჯვება და ფინალში თამაშის უფლება მოუტანა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს უფლება გუნდს არც დაეკარგებოდა 0:0 რომ ეთამაშა. გერმანელებს ჯგუფში I ადგილი განაღდებული ჰქონდათ, ყინაიდან გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება გააჩნდათ პოლონელებთან შედარებით, დაბრკოლება მათ აღარა ჰქონდათ.

დიდება მათ, ვინც ბოლომდე იბრძვის. ასე ბოლომდე იბრძოლეს პოლონელებმა, მაგრამ თავს ზემოთ, მოგეხსენებათ, ძალა არაა. მასპინძლების მონოლითური დაცვის დაძლევა შეუძლებელი იყო, იქ მეკარე მაიერი და ცენტრალური მცველი ბეკენბაუერი მეფობდნენ.

დადგა ჩემპიონატის კულმინაციური პერიოდი, 2 გადამწყვეტი მატჩი: III ადგილისთვის (პოლონეთი — ბრაზილია) და I ადგილისთვის (გფრ — ჰოლანდია).

ჭირდება ამ ოთხეულს ზედმეტი რეკომენდაციები? ეს ხომ ნამდვილი საფეხბურთო ელიტაა: ბრაზილია — მსოფლიო ჩემპიონი, გფრ — ევროპის ჩემპიონი, პოლონეთი — ოლიმპიური ჩემპიონი, ჰოლანდია — ბაზა „აიაქსისა", რომელსაც საკლუბო ფეხბურთში ახლა ბადალი არა ჰყავს. ვის ინატრებთ კიდევ?

ზევით ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულაში ცვლილება მოხდა და პირველ ეტაპზე, ქვეჯგუფებში თამაშების დამთავრების შემდეგ, კვლავ შედგა 2 ჯგუფი, რითაც გაუქმებული იქნა მეოთხედფინალების ადრინდელი სისტემა. ზოგიერთი სპეციალისტი იმთავითვე ამტკიცებდა, ჯობია წრიული სისტემა ბოლომდე იქნას შენარჩუნებული და მესამე, საბოლოო ეტაპზე გავიდეს კვლავ 4 გუნდიო. ყველამ ყველასთან უნდა ითამაშოს ჩემპიონის გამოსავლენად! ის, ვინც ამ აზრს ადგია, იოლად დაამტკიცებს, რომ ეს წესი უფრო სამართლიანია სპორტული თვალსაზრისით, შემთხვევითობის ელემენტი მინიმუმამდეა დაყვანილი და 4 გუნდის დასკვნით ბრძოლაში ყველაზე უფრო ნათლად, კანონზომიერად, სინდისიერად ვლინდება უძლიერესი უძლიერესთა შორის — პრიმუს ინტერ პარეს!

თავი დავანებოთ იმ ორგანიზაციულ სიძნელეებს, მეტ დროს, რაც ამ წესით ჩემპიონატის ჩატარებას ჭირდება. ყველა—ყველასთან, ამ სისტემას რა ჯობია, მაგრამ მას აქვს ერთი დიდი მინუსი, ნაკლოვანი მხარე, რომელმაც შეიძლება ამ დიდი ასპარეზობის აპოგეა, მისი ყველაზე უფრო საინტერესო, ემოციური მომენტი — ფინალი, არად აქციოს.

თქვენ არ იცით, რა განწყობილება სუფევს სტადიონზე, როცა განვლილი ბატალიების შემდეგ ახლოვდება ორი გადამწყვეტი, კონკრეტული მატჩი ვერცხლისა და ოქროს მედლების მოპოვებისთვის (ამ გათამაშებაში ჩემპიონი ღებულობდა ოქროს მედალს, ვიცე-ჩემპიონი — მოოქრულს, მესამე ადგილის მფლობელი — ვერცხლს და მეოთხესი — ბრინჯაოს). ხომ შეიძლება ჯგუფურ ტურნირში 2 ტურის შემდეგ უკვე გამოვლინდეს გამარჯვებული, ვილაცამ ადრევე გაინაღდოს ოქროს მედლები, მაშინ დარჩენილი მატჩები ფაქტიურად საარქივო მასალების შესავსებ ფორმალობამდე დავა და ის დიდი საფეხბურთო ფიესტა, განუმეორებელი აპოთეოზი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო 2 ფინალურ მატჩს ახლავს თან, არად იქცევა, საერთო ინტერესი, საყოველთაო საზეიმო განწყობილება დაქვეითდება რიგით მატჩამდე და გათამაშების დახურვა, მისი ბოლო აკორდი გაუფერულდება ნახევრად ცარიელი ტრიბუნების გულგრილ სიმყუდროვეში. ვის რად უნდა „ოტელოს" მეოთხე მოქმედების ნახვა, თუ მავრმა დეზდემონა უკვე დაახრჩო მესამეში? საქმეც ისაა, რომ საფეხბურთო რეისტატი თანდათან ზრდის ძაბვას, და „დეზდემონას" საკითხს წყვეტს სულ ბოლო აქტში, უდიდესი აუდიტორიისა და უმაღლესი მართლმსაჯულების წინაშე, როგორც ტაძარში. ეს აპოთეოზი რომ მოსპო, იგივეა მსოფლიო ჩემპიონატს ამოგლიჯო გულ-ღვიძლი, დიდი ზეიმი აქციო ტრივიალურ ორშაბათ სამუშაო დღედ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 147, 148.



მსრ-ის სტადიონებზე ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა არგენტინელი ფეხბურთელი რუბენ ჰუგო აიალა. არგენტინელებმა რეალურს ვერაფერს მიაღწიეს მსოფლიო ჩემპიონატში, მაღალი ადგილი ვერ დაიკავეს, სამაგიეროდ მათ ერთი რეკორდი მაინც ეკუთვნოდათ: აიალა ყველაზე გრძელთმიანი ფეხბურთელი იყო ყველა სხვა გრძელთმიანს შორის.

• •

დიდი ჯაფა აწვათ მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს გათამაშების დღეებში. მატჩების ანალიზი, ინტერვიუ, ცხელ-ცხელი ამბები, ინფორმაცია, გასაუბრებანი — ვინ მოთვლის! ათასი რამ უნდა მოასწრო დღის განმავლობაში, რომ ყველაფერი ეს მიაწოდო რედაქციას.

თქვენს წინაშეა ამ დამქანცავი, მძიმე შრომით გათანგული კორესპონდენტი. პრეს-ცენტრმა უკვე გაათავა მუშაობა, ყველანი წავიდნენ შინ, ისვენებენ, ჩვენს კოლეგას კი... ჩაეძინა თავის საბრძოლო პოსტზე.



## გადამწყვეტი ფაზაც დაიწყო

ტისაიდში (ინგლისი) გრძელდება სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდები — 13-13 ქულა. აშშ-სა და დანიის გუნდები მათ მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან. უნგრეთის ნაკრებს 10 ქულა აქვს.

ფინალური შეხვედრები საბჭოთა მოჭადრაკეებმა წარუმატებლად დაიწყეს. პირველი მატჩი ინგლისელებთან მათ ყაიმით (2:2) დაამთავრეს, მეორე კი ამერიკელებთან მოიგეს (2,5:1,5). დიდოსტატმა ი. ბალაშოვმა (სსრ კავშირი) ორივე შეხვედრა წააგო. დაწინაურდა დანიის გუნდი.

III ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების მეტოქე უნგრეთის ძლიერი კოლექტივი იყო. ვაჰანიანმა (სსრ კავშირი) დიდი მონდომებით ითამაშა და დიდოსტატ ადორიანს სძლია. ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ბელიავსკიმ (სსრ კავშირი) გონებამახვილურად მოიგერია დიდოსტატ საქსის იერიში და მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია. ზავით დამთავრდა რომანიშინ (სსრ კავშირი) — ვადაშისა და კუპრეიჩიკ (სსრ კავშირი) — პინტერის შეხვედრები. 2,5:1,5 — ასეთია ანგარიში საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

დანიელებმა სძლიეს ჰოლანდიელებს — 3,5:0,5. ამერიკელებმა — გფრ-ის გუნდს — 3:1.

IV ტურში დანიის გუნდი დამარცხდა ინგლისელებთან (1:3). მას დაეწივნენ ამერიკელები, რომლებმაც ავსტრიელებს მოუგეს — 3,5:0,5. საბჭოთა მოჭადრაკეები ჩეხოსლოვაკიელებს შეხვდნენ. ვაჰანიანმა მოუგო ლანცას, რომანიშინმა — ბეილს, პალატნიკმა — ამბორზას. ბელიავსკი — ვრობეკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

V ტურში ლიდერები დანიისა და აშშ-ს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბული ბრძოლა ყაიმით (2:2) დამთავრდა. ამით ისარგებლეს საბჭოთა და ინგლისელმა მოჭადრაკეებმა, რომლებმაც ლიდერის პოზიციები დაიკავეს. მათ ერთნაირი ანგარიშით (3,5:0,5) მოუგეს შესაბამისად გფრ-ისა და ფინეთის გუნდებს. კვლავ კარგად ითამაშა ვაჰანიანმა, რომელმაც ბოსნგასერს მოუგო. კუპრეიჩიკმა დაამარცხა ბუჰალი. ყაიმით დამთავრდა პარტიები: ბალაშოვი — კიფმაიერი და პალატნიკ — ნემერტი.

ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მთავარ ფავორიტებს — სსრ კავშირის, ინგლისის, აშშ-სა და დანიის გუნდებს კიდევ დარჩათ ერთმანეთთან ჩასატარებელი შეხვედრები. მაგალითად: საბჭოთა გუნდს — დანიასთან, ინგლისელებს — ამერიკელებთან და უნგრელებთან.

## ჩემპიონატი დამთავრდა

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. რვაადგილიანებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა ქალაქების ნაკრების იმ ეკიპაჟმა, რომლის მომსმელიც კოლომნელი ს. კოლიასკინი იყო. მის გარდა ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ: მოსკოველი ნ. სუროვი, კოლომნელი ა. შიტოვი, მოსკოველი ვ. საველოვი, კიეველი ვ. ოლხოვიკი, კოლომნელი ბ. ვორობიოვი, თბილისელი გ. ნიკურაძე და მოსკოველი ვ. ნიკონენი. ამ ეკიპაჟმა დისტანცია (2000 მ) 6 წუთსა და 2,5 წამში გაიარა. ვერცხლის მედალი ერგო ქალაქების იმ ნაკრებს, რომლის მომსმელიც გ. მოსკოვსკი იყო — 6.04,4.

ოთხადგილიანებით რბოლაში ჩემპიონები გახდნენ ასევე ქალაქების ნაკრების წევრები (მომსმელი ვ. მუსტაფაევი, ლ. კოშელი, ი. იაკიმოვი და ა. პოლეშჩუკი) — 6.26,2.

ტალინი, 28 ივლისი. დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი აფროსნობაში. „ტემპესტის" კლასში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიეველმა ვ. მანკინმა პირველობა გადამდე მოიპოვა. „ტორნატოთი" შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა ვ. ვასილიევი, „470"-ით — ვ. პოტაპოვი, „ფინით" — ა. ბალაშოვი (ყველა — შეიარაღებული ძალები), „სოლინგით" — ბ. ჩუჩელოვი („კალევი"), „ურჩხულით" — ნ. დიაკინი (შეიარაღებული ძალები), „მფრინავი ჰოლანდიელით" — მაიდანი („ავანგარდი").

დონეცკი, 28 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მეშახტეთა ამ ქალაქის სპორტის გულშემატკივრებს ნამდვილად ბედმა გაუღიმათ: ჯერ იყო და დევისის თასის ევროპის ზონის „ბ" ჯგუფის ჩოგბურთელთა გუნდების ნახევარფინალური მატჩის მოწმენი გახდნენ, ახლა კი სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კოლექტივების ფინალურ ასპარეზობას ადავნებენ თვალს. მართლაც დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენების შეჯიბრებამ. მარტო ის რად ღირს, რომ ვნახავთ მსოფლიოში აღიარებული ჩოგნების — ჩეხოსლოვაკიელი ი. კოდეშისა და სსრ კავშირის ჩემპიონ ა. მეტრეველის ორთაბრძოლას. ამიტომ იყო, რომ დონეცკის ჩოგბურთის კორტების ტრიბუნებზე ნემსიც არ ჩავარდებოდა, ვინ იცის, რამდენი მსურველი „თა-

## საქმე გართულდა

მაშგარე" მდგომარეობაში დარჩა, როცა ბილეთი ვერ იშოვა.

ამ ორი ქვეყნის ჩოგბურთელთა შეხვედრამ მართლაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ყველა გრძნობდა, რომ მეტრეველი ადვილად გაუსწორდებოდა მეტოქეს — ჩეხოსლოვაკიელ პალას. მართლაც ასე მოხდა. მხოლოდ ის იყო, რომ სტუმარს პირველი ორი პარტიის წაგების შემდეგ, როცა თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მოულოდნელად „ფრთები შეესხა" და მესამე პარტია მოიგო. ეს იყო პალას უკანასკნელი წარმატება ამ ორთაბრძოლაში. მეოთხე პარტიაში ქართველმა ჩოგბურთელმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა მეტოქეს და გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი — 6:2, 6:4, 3:6, 6:2.

თ. კაკულია — ი. კოდეში. თბილისელი ჩოგბურთელი ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. ხუმრობა ხომ არ იყო უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულთან, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ღია ჩემპიონატების გმირთან გამკლავება. კაკულიას თავი არ დაუზოგავს, ჩინებულად დაიწყო მატჩი, მაგრამ კოდეშმა სამ პარტიაში შეძლო მისი დამარცხება — 6:4, 6:2, 6:3, ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

წყვილთა შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მეტრეველი — ვ. კოროტკოვი და კოდეში — მ. ზედნიკი. პირველი ქულა ჩვენმა დუეტმა ჩაიწერა. შემდეგ თამაში გათანაბრდა და [illegible] ანგარიში ხშირად [illegible] იყო. ის-კი აშკარა იყო, რომ ზედნიკი უფრო კარგ პარტნიორობას უწევდა კოდეშს, ვიდრე კოროტკოვი — მეტრეველს. სსრ კავშირის ჩემპიონის მეწყვილე ხშირად შეცდომებს უშვებდა, დროულად არ გადიოდა ბადესთან და საშუალებას აძლევდა მეტოქეებს ქულა ქულაზე აელოთ. ამან იმოქმედა ალბათ მეტრეველზე და იგი ისე გაბედულად ვეღარ თამაშობდა, როგორც სხვა დროს. მეტოქეებს ეს მხედველობიდან არ გამორჩენიათ და უფრო ამოქმედდნენ. ეს მეტად საინტერესო ბრძოლა საბჭოთა დუეტმა წააგო — 4:6, 1:6, 3:6. ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელები დაწინაურდნენ — 2:1.

საქმე გართულდა. დარჩენილ ორ პარტიაში 2 ქულის აღება და ისიც ძლიერ სტუმარ ჩოგბურთელებთან ბრძოლაში, ადვილი არ არის.

## სსრ კავშირის პირველობა



### II ლიგა III ზონა

27 ივლისს გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ მატჩების შესახებ.

### „დინამო" (ბათუმი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 0:0

ძალზე საინტერესო, დაძაბული და მწვავე ბრძოლით აღსავსე მატჩი იხილეს ფეხბურთის მოყვარულებმა ბათუმის სტადიონზე. ზონის ლიდერების შეხვედრამ გაამართლა დიდი მოლოდინი, ორივე მხარემ ყველაფერი გააკეთა, რომ მატჩი მისი მაღალი რანგის შესაფერისი ყოფილიყო.

ჯერ კიდევ პირველი წუთები მიმდინარეობდა, როცა დინამოელებს ზედიზედ რამდენიმეჯერ მიეცათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა. უკვე მე-2 წუთზე წივწივაძემ ახლო მანძილიდან ოდნავ ააცილა ბურთი მიზანს, შემდეგ ასეთივე ბედი ეწია ქორიძის, ჩელებაძის, მჟავანაძის დარტყმებს. ეს უკანასკნელი სულ ხუთიოდე მეტრით იყო დარჩენილი კარის წინ და ხელიდან გაუშვა საუკეთესო შესაძლებლობა. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ბათუმელები არაზუსტად ასრულებდნენ გადამწყვეტ დარტყმებს, საუკეთესო თამაშით გამოიჩინა თავი „ისკრის" მეკარემ ბელეიმ. არ შევუდგებით ყველა იმ მომენტის აღწერას, სადაც ბელეიმ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისგან, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ იგი საუკეთესო იყო მინდორზე.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა გამოასწორეს თამაში, რამდენიმე ძალზე სახიფათო კონტრიერიშიც განახორციელეს და აქ უკვე თავი გამოიჩინა „დინამოს" მეკარე მორჩილაძემ. კერძოდ, მან არ მისცა საშუალება გონჩაროვს და ბოროდინს უაღრესად ხელსაყრელ ვითარებაში გაეტანათ ბურთი.

მატჩის დასასრულს დინამოელები კვლავ განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია — 0:0. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმელებს აკლდათ ცენტრალური თავდამსხმელი თ. ესებუა, რომელიც თბილისის „დინამოშია" გადაყვანილი.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ მეკარეებს — ტ. ბელეის და ჯ. მორჩილაძეს.

მ. ოსმანაშვილი.

### „დილა" (გორი) — „დინამო" (ბრიანსკი) 4:1

გორელი ფეხბურთელები მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო აუმჯობესებენ თამაშს და ახლა კანონზომიერად იმყოფებიან ზონის ლიდერთა შორის. მატჩი ბრიანსკის „დინამოსთან" მასპინძლებმა დაიწყეს მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების ძებნით და როცა საფუძვლიანად გაერკვნენ დინამოელთა დაცვის თამაშში, გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. 30-ე წუთზე ანგარიში ბაქრაძემ გახსნა ბერიკაშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ. მეორე ტაიმში „დილის" საერთო უპირატესობა კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთა და დინამოელებს თითქმის მთლიანად დაცვაზე გადასვლა მოუხდათ. 67-ე წუთზე მინდვრის სიღრმიდან წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა თაყაძემ, შემდეგ ბუზალაძემ გამოიყენა ჭელიძის კარგი გადაცემა, ხოლო 79-ე წუთზე ბურჯანაძის წინააღმდეგ საჯარიმო მოედანზე უხეში თამაშისთვის მსაჯმა დანიშნა პენალტი, რომლის რეალიზაცია მოახდინა თვით „დაზარალებულმა" — 4:0.

ერთადერთი, რაც სტუმრებმა შეძლეს, ეს იყო მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე გატანილი საპასუხო გოლი.

გორელი ფეხბურთელები დამაჯერებლად, დიდი მონდომებით თამაშობენ და კანონიერად იბრძვიან ლიდერობისთვის.

ი. თევდორაშვილი.

### „დინამო" (ზუგდიდი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 2:2

ზუგდიდის დინამოელებმა ბოლო 2 ტურში კარგად ითამაშეს და 3 ქულა ზიდეს. მათს აქტივს 27 ივლისს კიდევ 2 ქულა მიემატებოდა, მაგრამ გუნდი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ერთით და, აი, რა მიზეზით: მეორე ტაიმში, 75-ე წუთზე ტორპედოელთა კართან შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ნიკოლაიშვილმა ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი ბადეში, მაგრამ მოსკოველმა არბიტრმა ბუტენკომ არ ჩათვალა გოლი, რითაც მაყურებელთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

მასპინძლები დაწინაურდნენ მე-19 წუთზე კემულარია — ლომსაძის კომბინაციის შემდეგ. „ტორპედომ" მარცხს ძლიერი კონტრშეტევით და დუდკოს სანაცვლო გოლით უპასუხა — 1:1.

ტაიმის დასასრულამდე დინამოელებს შეეძლოთ კვლავ დაწინაურებულიყვნენ ალმასიას, ლომსაძეს და სხვებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ გადამწყვეტ მომენტებში, სამაგიეროდ განახლდა თამაში და ვოსკოვსკის ზუსტმა დარტყმამ წინ გაიყვანა სტუმრები — 2:1.

დინამოელები გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, რასაც 70-ე წუთზე მოჰყვა ლომსაძის მიერ გატანილი გოლი — 2:2.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ ლომსაძეს და ვოსკოვსკის.

ბ. ალშიბაია.

### „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (ვოლოგდა) 3:0

ხანგრძლივი, სერიოზული ჩავარდნის შემდეგ კოლხეთელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და ზედიზედ მიაღწიეს წარმატებას. კერძოდ, ბოლო 2 მატჩში მათ 7 ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში. დასანანია მხოლოდ ის, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ადრევე შეეძლოთ უკეთ ეთამაშათ და არ მიეყვანათ საქმე ამ ზომამდე.

ვოლოგდის „დინამოსთან" შეხვედრაში „კოლხეთმა" გამარჯვების საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა სულ რაღაც 10 წუთში. მასპინძელთა მძლავრი იერიშები ვითარდებოდა სწრაფად, მოულოდნელად და მთავრდებოდა ზუსტი დარტყმებით. მე-2 წუთზე გუდავაძის მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი ბრიანსკელთა კარის ბადეში აღმოჩნდა, მერე კი კვარაცხელიამ ზედიზედ ორჯერ მიაღწია წარმატებას.

ეს საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად. შემდეგ წამოვიდა წვიმა, მინდორი ატალახდა და თამაშმა დაკარგა სანახაობრივი მხარე. ანგარიში 3:0 უცვლელად შემორჩა ტაბლოს.

ბ. ბასილაია.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (სტავროპოლი) 3:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „ურალანი" (ელისტა) 3:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 2:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 2:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ლორი" (კიროვაკანი) 2:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (კიროვაბადი) — 2:1.



ქვარცხლბეკზე.

ვ. სოკოლოვის ფოტო.

## III ადგილზე გავიდნენ

ერევანი (ტელეფონით). აქ დამთავრდა „შრომითი რეზერვების" ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება, რომლის დასკვნით, ფინალურ ეტაპზე მონაწილეობდნენ სომხეთის, უკრაინის, საქართველოსა და უზბეკეთის გუნდები.

ჩემპიონის წოდება მოიპოვეს სომხეთის ფეხბურთელებმა, რომლებმაც 4 ქულა დააგროვეს. 3-3 ქულა და გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი სხვაობა აღმოაჩნდათ უკრაინისა და საქართველოს გუნდებს. დებულების თანახმად უპირატესობა მიენიჭათ უკრაინელებს, ვინაიდან I ეტაპის დამთავრების შემდეგ ეს მაჩვენებლები მათ უკეთესი ჰქონდათ.

## სპორტული აჭარა

### სოფლის თამაშებში

დამთავრდა „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს პირადგუნდური პირველობა მძლეოსნობაში, რომელიც სოფლის სპორტული თამაშების პროგრამაში შედის. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ქობულეთის ნაკრებმა. II ადგილზე არიან ხელვაჩაურელი, III — შუახეველი სპორტსმენები.

### ორ სახეობაში

დიდი ინტერესი გამოიწვია აჭარის პირველობამ თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. თავისუფალ ჭიდაობაში ქობულეთელებმა (მწვრთნელი—სპორტის ოსტატი ვ. გაროზაშვილი) იმარჯვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ხელვაჩაურისა და შუახევის კოლექტივები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. სურმანიძე, მ. ანთაძე (ორივე — ხელვაჩაური), ა. მინასიანი, გ. სააკიანი, შ. შონუსი, ო. სალუქვაძე, ა. ჩიჩუა (ყველა — ქობულეთი), ა. მიქელაძე, ო. ფარტენაძე (ორივე — ხელვაჩაური) და შ. ანტოშკინი (ქობულეთი).

კლასიკურ ჭიდაობაში გუნდური პირველობა ხულოს რაიონის (მწვრთნელი სპორტის ოსტატი გ. ბოლქვაძე) ფალავნებს ხვდათ. II ადგილზეა ქობულეთის ნაკრები, III — ხელვაჩაურის გუნდი.

ჩემპიონები გახდნენ: მ. ბაგრატიონი, ა. მიქელაძე (ორივე — ხელვაჩაური), დ. ბოლქვაძე (ხულო), მ. შოლუსი, ს. ნოღაიდელი, ს. ჩელებაძე (ყველა — ქობულეთი), რ. კაკაბაძე (ხელვაჩაური), თ. ჯორბენაძე (ხულო), მ. მიქელაძე და ა. გოგიტიძე (ორივე — ქობულეთი).

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10736